ილია ჭავჭავაძე „სარჩობელაზედ“

იმიტირებული სასამართლო

მოსამართლის დამხმარე - გთხოვთ ფეხზე ადგეთ მოსამართლე მობრძანდება.

შემოდის მოსამართლე და მისი მხებლები, სხდებიან.

მოსამართლე - დღეს ჩვენ ვიხილავთ საქმეს ნომრით - 4-8-15-16-23-42, ბრალდებულის - ვინმე **დაჩაგრულიშვილის** საქმეს, რომელსაც ბრალად ედება მამინაცვლის მკვლელობა.

მივესალმები ბრალმდებლებს, დაცვის მხარეს, ნაფიცმსაჯულებს, დამსწრე საზოგადოებას, დავიწყოთ სხდომა.

მოსამართლე ბრალდებულს - ბატონო ბრალდებულო, ამ ეტაპზე თქვენ გედავებიან მამინაცვლის განზრახ მკვლელობას, რის დამტკიცების შემთხვევაშიც თქვენ სიკვდილით დაგსჯიან. გასაგებია, თუ არა თქვენთვის წაყენებული ბრალდება?

ბრალდებული - გასაგებია.

მოსამართლე - გთხოვთ დაჯდეთ, სხდომის ბოლოს თქვენ აუცილებლად მოგეცემათ სიტყვა.

მოსამართლე - დაცვის მხარეს ვთხოვ დაიწყოს მოწმეების გამოძახება.

- **ადვოკატი - მოგესალმებით ბატონო მოსამართლე, ძვირფასო ნაფიცო მსაჯულებო, დამსწრე საზოგადოებავ. მოწმედ ვიძახებ პეტრე კეთილკაციშვილს.**

1-ლი შემოსვლა

ადვოკატი- გამარჯობა, ბატონო პეტრე.

პეტრე - გამარჯობა შვილო.

ადვოკატი- გთხოვთ თავი წარუდგინოთ სასამართლოს.

პეტრე - მე ვარ **პეტრე კეთილკაციშვილი,** იგივე გლეხო, მთელი ქალაქი ასე მიცნობს.

ადვოკატი- ბატონო პეტრე, გვითხრათ იცნობთ თუ არა ბრალდებულს?

პეტრე - ვიცნობ, ვიცნობ, და ვაი რომ ვიცნობ მაგ უბედურ დღეს გაჩენილს.

ადვოკატი- იქნებ გაიხსენოთ პირველად სად და რა სიტუაციაში ნახეთ იგი?

პეტრე - გეტყვით შვილო, გეტყვით, ყველაფერს ისე ვიტყვი, როგორც იყო. მეე ერთი გლეხი კაცი ვარ, მთელი ჩემი ცხოვრებაა ვმუშაობ და გზაზე ვარ. ამდენი წლის განმავლობაში ვის აღარ გადავყრივარ გზაზე, რა რჯულის კაცი არ შემხვედრია. აი მაგალითად იყო ერთი კაცი . . .

ადვოკატი- ბატონო პეტრე, გთხოვთ საქმეზე ვისაუბროთ.

პეტრე - კარგით, კარგით შვილო, უკაცრავად. ერთ დღეს, როდესაც მორიგ ჯერზე სამუშაოზე ვიყავი წასული, უეცრად ვხედავ, რომა ორი ახალგაზრდა ბიჭი მომიახლოვდა. ერთი იქნებოდა 17-18 წლისა, მეორენა კიდე 14-15-სა. ახლა, რომ ვუფიქრდები ცოტა უცნაურად კი გამოიყურებოდნენ.

ადვოკატი- გთხოვთ დააკონკრეტოთ.

პეტრე - მაგალითად: დიდი ზომის ტანსაცმელი ეცვათ, თითქოს ეს ყველაფერი მათ არ ეკუთვნოთად. თან კაი დიდი ტყუილი კი მაკადრეს, მაგრამ აბა მაშინ მე რას მივხვდებოდი.

ადვოკატი- დაცვის მხარისთვის აუცილებელია, დააზუსტოთ - ***(დაჟინებული მზერა პეტრესადმი)*** ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა გითხრათ ტყუილი?

პეტრე - არა ჩემო კარგო, ეს სულ ჩუმად იყო ***(უყურებს ბრალდებულს),*** ხმა თითქმის სულ არ ამოუღია, ჩემთან საუბარი იმ ცხონებულმა უფროსმა დაიწყო, რას უძახდნენ?

ადვოკატი- მისი სახელი იყო ბეჟანი.

პეტრე - ხოო ბეჟანი. ხოოდა და იმას ვამბობდი, რომ ბეჟანმა დაიწყო ჩემთან საუბარი-მეთქი. მან მითხრა, რომ თავის ძმასთან ერთად რომელიღაცა სასწავლებლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, მაგრამ გზად მეეტლეს გაუძარცვათ და მშიერ-მწყურვალი გზაზე დაუტოვებიათ. მე კიდე ისე შემეცოდა ისინი, რომა პურიც მივუტანე და ღვინოცა. საღამოს კიდე კაი მწვადებიც ვაჭამე, თან ჩემი ნაბადიც გავუშალე, რადგანაც უფროსმა ასე მითხრა ჩვენ თავადისშვილები ვართო, ბოლოს კი დაამატა, იმ მეეტლემ კიდევ ბევრი რამე მოგვპარა და ასე უყველაფროდ დავრჩითო. ხოოდა, მე რომ მგონია ყველაფერი კარგად მიდის, სიკეთეც გამიკეთებია და ბავშვებიც დამიპურებია დილით გავიღვიძე და რას ხედავს ჩემი თვალები, ჯერა რომა ის ბიჭები იქ აღარ ჩანდნენ და, რაც მთავარია, ჩემი ტანსაცმლის ჯიბეები ზედ ძირში არ იყო მოჭრილი. ახლა კი უფრო მეცინება, მაშინდელის არ იყოს, ამ თითისტოლა ბიჭებმა როგორ მომატყუეს და მშრალზე დამტოვეს-მეთქი. თავიდან გავბრაზდი, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ გზაზე გასული კაცის საქმე ეგრეა, უკვე აღარც არაფერი არ მიკვირს. ის ცხონებული 4 წლის

მერე კი ვნახე რომა სიკვდილით დაესაჯათ, ის მეორე კიდე, უმცროსი, ახლა ჩემს წინ ზის (**უყურებს ბრალდებულს**) და თქვენც კარგად ხედავთ.

ადვოკატი- ბატონო პეტრე, გთხოვთ გაიხსენოთ უშუალოდ უმცროსი ძმა რას აკეთებდა, როგორ გექცეოდათ იმ საღამოს? ან იქნებ რაიმე გითხრათ.

პეტრე - აპაა იმის მერე იმდენი დრო გავიდა შეიძლება ყველაფერიც დამვიწყოდა, მაგრამ როცა გავიგე ვიღაც ორ ბიჭს მამინაცვალი მოუკლავთ და გაზეთებშიც ბევრი დაიწერა, ის ისტორია თავიდან ბოლომდე ამომიტივტივდა თავში. ახლა სრულიად კარგად მახსოვს, რომა როცა ბეჟანი იმ ისტორიას ყვებოდა, უმცროსი თავიდან სულ ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, მერე კი უეცრად ***(უყურებს ხალხს - ნაფიცმსაულებს)*** **ანერვიულდა, კანკალი დააწყებინა და თავისი ძმის გაჩუმება ცდილობდა, სუ, სუ გეყოფა, გეყოფაო იმას ეძახდა,** ისა კიდე არ ჩუმდებოდა და არა. თავიდან ვიფიქრე, რადგანაც თავადისშვილები არიან შეიძლება ზემოდან მიყურებს, თავს არ მიყადრებს და არც უნდა, რომ მისი ისტორია გავიგო, მაგრამ ამ ფიქრის კი დიდად აღარც წავყოლილვარ. ფაქტია, უმცროსი უფროსს ხელს უშლიდა, მაგრამ ის არადა არ გაჩერდა.

ადვოკატი- მადლობა, ბატონო პეტრე, მე მეტი კითხვა აღარ მაქვს.

მოსამართლე - ვთხოვ ბრალმდებლის მხარეს გააგრძელოს დაკითხვა.

ბრალმდებელი - მოგესალმებით ბატონო მოსამართლე, ძვირფასო ნაფიცო მსაჯულებო, დამსწრე საზოგადოებავ. გამარჯობა, ბატონო პეტრე, თქვენი აზრით, ძმები ამ საქმეში, ქურდობაში ***(საუბრობს ხმამაღლა ნაფიცმსაჯულების მისამართით)*** გაწაფულები, ამ საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ?

ადვოკატი- ვაპროტესტებ, ბატონი პეტრეს მოსაზრებას ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

მოსამართლე - პროტესტი მიღებულია, ბრალდების მხარეს ვთხოვს შეცვალოს კითხვა.

ბრალმდებელი - ესე იგი, ასე პატარა ადამიანებმა ისე გაგძარცვეს, რომ თქვენ ვერაფერს ვერ მიხვდით?

პეტრე - ვერა, აბა მაშინ ხომ ხელს შევუშლიდი.

ბრალმდებელი - გთხოვთ გვითხრათ დიდი თანხა მოგპარეს, თუ არა მკვლელმა ბეჟანმა და მისმა მკვლელმა ძმამ?

ადვოკატი - ვაპროტესტებ, ასეთი ეპითეტების გაჟღერება ზედმეტია, ბრალმდებელი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას.

მოსამართლე - პროტესტი მიღებულია. ბრალმდებელს ვთხოვს შეცვალოს კითხვის ფორმულირება.

ბრალმდებელი - ბატონო პეტრე, რა თანხას შეადგენდა ნაქურდალი?

პეტრე - ნაქურდალი ნამდვილად ბევრი იყო, რადგანაც თვის ბოლო იყო, მთელი მოგროვებული ფული ერთიანად მქონდა, ახალი საქონლის ყიდვისათვის გადადებული თანხა, ერთი თვის საკვების ფული და ვინ იცის კიდევ ათასი საჭიროების თანხა.

ბრალმდებელი - მე სხვა კითხვა არ მაქვს.

პეტრე - გადის.

მოსამართლე - გთხოვთ მოიხმოთ შემდეგი მოწმე.

ადვოკატი - მოწმედ ვიძახებ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის თანასოფლელს.

ბრალმდებელი - თანასოფლელს ამ საქმესთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს?

ადვოკატი - მინდა კიდევ ერთხელ გაგახსენოთ, რომ ჩვენ ვიხილავთ 18 წლის ახალგაზრდა ადამიანის საქმეს, რომელსაც ელის სიკვდილის დასჯა. მე ვფიქრობ და ალბათ ყველანი დამეთანხმებით, რომ ნაფიცმსაჯულებისათვის ძალიან საინტერესო იქნება, თუ როგორ იყო ბრალდებულის წარსული, რა გარემოებებმა მიიყვანა იგი ამ ქმედებამდე.

- მოსამართლე - გთხოვთ შემოიყვანოთ მოწმე.

ადვოკატი - გამარჯობა, ქალბატონო ლამარა, გთხოვთ გაეცნოთ სასამართლოს.

მეზობელი - გამარჯობა, მე ვარ ბრალდებულის თანასოფლელი, **ლამარა სხვისსაქმეში ვერჩავერევის** შვილი, ადამიანი, რომელმაც იცის თუ სად და როგორ გაიზარდა იგი.

ადვოკატი - ანუ თქვენ ძალიან კარგად იცნობთ მას?

მეზობელი - ვაი, ვაი რომ ვიცნობ, ჩვენი ნინოსა და მერაბის შვილი, მახსოვს მისი დაბადებაც და თუ როგორ იზრდებოდა.

ადვოკატი - ძალიან გთხოვთ, მოუყვეთ სასამართლოს, თუ როგორ პირობებში იზრდებოდა იგი? როგორი იყო მისი გარემო? ოჯახი?

მეზობელი - გავიხსენებ, გავიხსენებ და მის ისტორიასაც სულ თავიდან დავიწყებ. მისი მშობლები ძალიან კარგები იყვნენ, სოფელში ყველა იცნობდა მათ, ყველა პატივს სცემდა და არც ისინი აკლებდნენ ვინმეს პატივისცემას. ჰყავდა კარგი მამა და დედაც, მშვენიერი ოჯახი იყო. ასე იყო თუ ისე გარკვეული ქონებაც ჰქონდათ და დიდად არც არაფერს უჩიოდნენ. მათ პირველ შვილს - **ბეჟანს,** მშვენივრად ზრდიდნენ, მაშინ ეს საცოდავი კი *(დანანებით უყურებს ბრალდებულს)* ჯერ დაბადებულიც არ იყო. ამ ოჯახის უბედურება სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც უბედური შემთხვევის გამო მამა გარდაიცვალა, მისი საწყალი დედა - ნინო კი ფეხმძიმედ იყო. აი ამის შემდეგ წავიდა ყველაფერი უარყოფითად. ოჯახში ყველანაირ საქმეს მამა - მერაბი აკეთებდა, ყველა სირთულე მის კისერზე გადადიოდა. როდესაც ის დაიღუპა, ოჯახის მთელმა სიმძიმემ დედაზე - **ნინოზე** გადაინაცვლა. მოგეხსენებათ, მისი მდგომარეობის გამო რა უნდა ექნა, პირველი შვილისთვის მიეხედა, თან ამ მდგომარეობაში, თუ სახლის საქმეეს გაძღოლოდა. ასე რომ მათ ცხოვრების ბორბალიც წაღმა და წაღმა დატრიალდა. მალე მეორე შვილიც შეეძინა, *(ამბობს დანანებით)* ეჰ, როგორი საყვარელი ბავშვი იყო. ამდენ

სირთულეს ნინომ ვეღარ გაუძლო, მათი ქონებაც ნელ-ნელა ქრებოდა. რა ექნა საწყალს, იფიქრა ვინმე წესიერს ვნახავ და ყველანაირ საქმეში შემომეშველებაო და გათხოვდა დაახლოებით 2 წლის თავზე. სწორედ იმ საზარელი მამინაცვლის ბრალია ყველაფერი *(ზემოთ იყურება თითქოს ღმერთს მიმართავს - ღმერთო მაპატიე, მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა ან არაფერიო, მაგრამ იმ მგლის ლეკვზე, ბოროტ კაცზე კარგის თქმა როგორ შევძლო),* თავიდან ყველას თავი მოაწონა, საქმეს გაუძღვა, ყველას კარგად ექცეოდა, მაგრამ მალე შეიცვალა. ისეთი ნაძირალა იყო, რომ ხალხს თვალებში ნაცარი იოლად ჩაგვაყარა.

ძველი ქონება გაანიავა. საწყალი ნინოც უკვე აღარ იყო ამ ქვეყნისა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ შვილების დაცვაც ვეღარ მოახერხა, ფსიქოლოგიურად ქმარმა ბოლომდე დაიმორჩილა და ალბათ დაიმონა კიდეც. ეეჰ, რამდენჯერ გვინახავს საწყალი დალურჯებული, ან რამდენჯერ გაგვიგონია მისი სახლიდან განწირული ყვირილის ხმა, ხან თავად ნინოსი, ხანაც კიდე შვილებისა, განსაკუთრებით კი ბეჟანის.

ადვოკატი - ანუ თქვენ ადასტურებთ რომ ბრალდებულს მძიმე ბავშვობა ჰქონდა?

მეზობელი - მძიმე რომელია, მას შემდეგ რაც ისინი გაღარიბდნენ, მამინაცვალი ყველას ამუშავებდა, ხან ტომრებს ათრევინებდა, ხან სხვის მიწაზე გააგდებდა სამუშაოდ, ხანაც კიდე რა, არც ვინმეს რიდი ჰქონდა და არაფერი.

ადვოკატი - სოფელს რა რეაქცია ჰქონდა ამ ყველაფერზე? ნუთუ არ გრძნობთ თავს დამნაშავედ, როცა ობოლი ბიჭების ტირილის ხმა გესმოდათ და რატომ არაფერს აკეთებდით მათ დასახმარებლად?

მეზობელი - სოფელს? ხომ იცით რომ ოჯახი წმინდაა, ჩვენც რა უნდა გვექნა. სხვის ოჯახში ვერ ჩაერევი. მართალია, სოფლის კაცებმა სცადეს გამოსარჩლება, მაგრამ არაფერი გამოვიდა, სხვის ოჯახში ვერ ჩაერევი.

ადვოკატი - ნუთუ ვერც დედას ახერხებდა შვილების დაცვას?

მეზობელი - დედაც აქეთ იყო დასაცავი, როდესაც ამხელა ბედნიერებიდან ასეთ მდგომარეობამდე დავიდა, ბოლომდე გატყდა, ჩაიკეტა და ვეღარც ვერაფერი შეძლო.

ადვოკატი - პირადად თქვენ რას აკეთებდით? საერთოდ არ გიცდიათ მათზე ზრუნვა? თუნდაც ლუკმა-პურის მიწოდება? რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, თქვენც დედა ბრძანდებით, ნუთუ ერთხელ მაინც არ წარმოგიდგენიათ თქვენი შვილები მათ ადგილას?

მეზობელი - მიმიწოდებია, რატომ არ მიმიწოდებია, მაგრამ როდესაც მათი მამინაცვალი დაინახავდა, რომ მათ ვინმე ეხმარება, ყველაფერს ართმევდა.

ადვოკატი - თუ თქვენ ვერ ეხმარებოდით და გეშინოდათ, რატომ არ შეატყობინეთ შესაბამის ორგანოებს თუნდაც ანონიმურად მათ ოჯახში არსებული ძალადობის შესახებ?

მეზობელი - ერთხელ და ორჯერ მივმართეთ კიდეც, მაგრამ დაიძვრინა თავი. მალევე ბიჭებიც სასწავლებელში გააგზავნეს და მეც ჩემი ოჯახიანად ქალაქში გადავედი საცხოვრებლად.

ადვოკატი - ბატონო მოსამართლევ, მე მეტი შეკითხვა აღარ მაქვს.

- **მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.**

ბრალმდებელი - გამარჯობა, ქალბატონო ლამარა, გთხოვთ გაიხსენოთ, რა ურთიერთობა ჰქონდათ ძმებს თანასოფლელების მიმართ?

მეზობელი - სამწუხაროდ, მოხდა ისეთი ფაქტიც, რომ ძმებმა ერთი მეზობელი გაქურდეს, ამის გამოც ბევრი მოხვდათ მათ, მაგრამ მე ამ ფაქტში საერთოდ არ ვამტყუნებ, რასაც ისინი იტანდნენ, არც იყო გასაკვირი, თუ მეზობელს საჭმელს, ვიმეორებ, მხოლოდ და მხოლოდ **საჭმელს მოპარავდნენ.**

ბრალმდებელი - **(უკმაყოფილო სახით)** მეტი კითხვა აღარ მაქვს.

მეზობელი გადის.

- **მოსამართლე - გთხოვთ შემოიყვანოთ შემდეგი მოწმე.**
- **ადვოკატი - მოწმედ ვიძახებ ბრალდებულის ერთ-ერთ მასწავლებელს სასწავლებლიდან.**

ადვოკატი - 1 - გამარჯობა ქალბატონო მასწავლებელო, გთხოვთ გაეცნოთ სასამართლოს.

მასწავლებელი - გამარჯობა, მე ვარ **სალომე განათლებისაშვილი.**

ადვოკატი - 1 - როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ასწავლიდით იმ სასწავლებელში, რომელშიც მიიყვანეს ძმები.

მასწავლებელი - *(ცმაყოფილი სახით და ხმის ტემბრით იწყებს საუბარს*) დიახ, მე იმ დროს იქ ვასწავლიდი და ახლაც იქ ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ადვოკატი - 1 - საინტერესო იქნება თქვენი თვალით დანახული ძმები, გაიხსენეთ ვინ და რა გარემოში მოიყვანან ისინი თქვენს სკოლაში?

მასწავლებელი - როგორც წესი ჩვენთან აღსაღზრდელები თავად მშობლებს მოჰყავთ ხოლმე, ეს ბავშვებიც მათმა დედამ და მამამ მოიყვანეს.

ადვოკატი - 1 - რაიმე განსაკუთრებული ხომ არ შეგიტყვიათ მშობლების ქცევაში?

მასწავლებელი - არანაირი, ძირითადად ჩუმად არიან, ზოგს ესირცხვება ბავშვის ჩვენთან მოყვანა, არადა ჩვენი სკოლა კეთილსინდისიერია და ძალიან ზრუნავს ნებისმიერი მოსწავლის აღზრდა-განვითარებაზე.

ადვოკატი - 1 - ბავშვების საბუთებიც თქვენ ჩაიბარეთ?

მასწავლებელი - დიახ, შეთავსებით მაგ საქმეზეც მე ვიყავი პასუხისმგებელი, საბუთები მამამ შეავსო.

ადვოკატი - 1 – *(დიდი ინტერესით სვამს შეკითხვას)* დედა? დედა როგორ იქცეოდა?

მასწავლებელი - დედას ხმა თითქმის საერთოდ არ ამოუღია სულ ჩუმად იყო.

ადვოკატი - 1 - როგორი იყო მათი დამშვიდობება?

მასწავლებელი - დედა ბავშვებს გადაეხვია, კოცნიდა და კოცნიდა, ძალიან გაუჭირდა, ბევრი იტირა, მამამ უფრო დაწყნარებას ცდილობდა, ემოცია დიდად არ გამოუვლენია.

ადვოკატი - 1 - რამდენ ხანს გაჩერდნენ ძმების თქვენს სასწავლებელში?

მასწავლებელი - თითქმის მთელი წელი.

ადვოკატი - 1 - ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ მოაკითხეს და ინახულეს მშობლებმა ბავშვები?

მასწავლებელი - ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონკრეტული დღეები, რომლებიც მშობლებისათვის წინასწარ ცნობილია, ისინიც მოდიან და ნახულობენ საკუთარ შვილებს.

ადვოკატი - 1 - ძვირფასო ნაფიცო მსაჯულებო *(თან უყურებს მათ).* სასწავლების შინა განაწესის მიხედვით, ნებისმიერი ადამიანის ვიზიტი უნდა გაფორმდეს ოფიციალურად, ჩვენ მივმართეთ სკოლას არსებული საბუთების გადამოწმების მიზნით და აღმოჩნდა, რომ მშობლებს არცერთხელ, ვიმეორებ არცერთხელ ***(მიდის ნაფიცმსაჯულების მისამართით და აწოდებს ამ საბუთს - დანართი - 1)*** არ მოუნახულებიათ საკუთარი შვილები. მე ვთხოვ ნაფიც მსაჯულებს, რომ გაითვალისწინონ ეს ფაქტი, რადგანაც ყველანაირი შეცდომა გამორიცხულია, ყველაფერი გადამოწმებულია.

ადვოკატი - 1 - მართალია, თუ არა რომ სკოლაში მოსწავლეებს სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ, როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები?

მასწავლებელი - ***(გაბრაზებული ხმით)*** მოიცა, თქვენ რა გინდათ ჩემს სკკოლას დააბრალოთ ყველაფერი? ჩემი სკოლა კეთილსინდისიერად ემსახურება თავის საქმეს. მსგავს ბრალდებებს ვერ მივიღებ.

ადვოკატი - 1 - როცა ხედავდით ობოლ ბავშვებს, რატომ არ გიჩნდებოდათ სინანულის გრძნობა და რატომ აგრძელებდით მათ ცემას?

ბრალმდებელი - 1 - პროტესტს ვაცხადებ, მასწავლებელმა უკვე გასცა ამ კითხვას პასუხი.

მოსამართლე - პროტესტი მიღებულია.

ადვოკატი - 1 - *ვთხოვ ძვირფას ნაფიც მსაჯულებს გაითვალისწინონ, რომ ზუსტად ახლა მიმდინარეობს დავა იმ მასწავლებლების წინააღმდეგ, რომლებიც წლების განმავლობაში, სისტემატურად ძალადობდნენ სხვადასხვა მოსწავლეზე, მათ შორის ზუსტად იმ წლებშიც, როდესაც იქ სწავლობდნენ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და მისი ძმა.*

ადვოკატი - 1 - ქალბატონო მასწავლებელო, როდესაც თქვენი აღსაღზრდელები გაიპარნენ სასწავლებლიდან, რატომ არ დაინტერესდით მათი გაპარვის მიზეზით? ნუთუ საერთოდ არ დაუშვით, რომ მათი გაპარვის მიზეზი თქვენს სასწავლებელში მიღებული დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური წნეხი იყო?

მასწავლებელი - ***(ოდნავ დაბნეული და გაკვირვებული)*** ჩვენ რა, ჩვემ შევატყობინეთ მათ მშობლებს. ***(ხმამაღლა)*** მეტი რა უნდა გაგვეკვეთებინა, ყველას თავისი საზრუნავი

აქვს, სკოლაში სხვა მოსწავლეებიც გვყავს, ყველაზე რანაირად მოვახერხებდით ერთნაირად ზრუნვას.

- ადვოკატი - 1 - მადლობა, მე მეტი კითხვა არ მაქვს.
- მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.

ბრალმდებელი - 1 - გამარჯობა ქალბატონო, გთხოვთ გააცნოთ სასამართლოს, თუ როგორი მოსწავლეები იყვნენ ისინი?

მასწავლებელი - სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ მათ განათლების არაფერი ეტყობოდათ. წერაც უჭირდათ და კითხვაც. ***(კმაყოფილი სახით)*** მართალია, ჩემი მხრიდან მე ყველაფრის აღმოფხვრას ვცდილობდი, მაგრამ ამ ბავშვებთან ვერაფერს გავხვდი. ძალიან უზრდელები და თავხედები იყვნენ.

ბრალმდებელი - 1 - გთხოვთ უფრო დააკონკრეტოთ თქვენი სათქმელი.

მასწავლებელი - იმას ვამბობდი, რომ მათ აღზრდის არაფერი ეტყობოდათ. რამდენიმეჯერ მასწავლებლებზეც კი გამოიწიეს როგორც სიტყვიერად, ასევე ფიზიკურად, რის აღმოსაფხვრელად ჩვენი მათი დასჯა მოგვიწია.

ადვოკატი - 1 - რაც მათ ცემას გულისხმობდა არა.

მოსამართლე - სიწყნარე დარბაზში, ადვოკატს ვთხოვ დაიცვას წესრიგი.

ბრალმდებელი - 1 - ანუ თქვენ ადასტურებთ, რომ მათ პატარა ასაკიდანვე სჩვეოდათ უზრდელობა, დაუმორჩილებლობა, არეულობა, დებოჟი და ასე შემდეგ?

ადვოკატი - 1 - პროტესტს ვაცხადებ, ბრალმდებელს ვთხოვ ნუ კარნახობს მოწმეს და ნუ უბიძგებს კონკრეტული პასუხის გაჟღერებაში.

მოსამართლე - პროტესტი მიღებულია.

მასწავლებელი - ***(თვითკმაყოფილი სახე)*** მე არავის კარნახი არ მჭირდება, ეს ძმები იყვნენ ყოვლად არაფრის მცოდნენი, თავხედები და ხელიდან წასულები, მე მათნაირი ძალიან ბევრი მინახავს და იცით რა? არცერთ მათგანს კარგად არ დაუმთავრებია. მათ და მათნაირებს მხოლოდ ცუდის გაკეთება თუ შეუძლია.

ბრალმდებელი - 1 - მე მეტი კითხვა აღარ მაქვს (გამოხატავს კმაყოფილებას).

მოსამართლე - მოწმეს შეუძლია დაუბრუნდეს თავის ადგილს.

მასწავლებელი გადის.

მე-2 შემოსვლა

- **მოსამართე - გთხოვთ შემოიყვანოთ შემდეგი მოწმე.**
- **ადვოკატი- ბატონო მოსამართლე, გთხოვთ ბატონი პეტრე მოიხმოთ.**

ადვოკატი- ბატონო პეტრე, გთხოვთ გაიხსენოთ, მეორედ როდის შეხვდით ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს.

პეტრე - გეტყვით, მოკლედ ერთ დღეს ქალაქში აღმოვჩნდი, უეცრად გავიგე, რომ სწორედ იმ დღეს უნდა ჩამოეხრჩოთ ერთი ადამიანი. თავიდან ვერც კი დავიჯერე, რომ როგორ შეიძლება ადამიანმა მეორე ადამიანი მოკლას, თუნდაც კანონიერად, თავიდან კი არა, ბოლოსაც ვერ ვიჯერებდი. გადავწყვიტე მეც დავსწრებოდი, ***(უყურებს ნაფიცმსჯულებს)*** **მოგეხსენებათ, ადამიანი გული ხარბია, უნდა სანახაობა, თავისი სიკვდილისა კი ყველაზე მეტად ეშინია, მაგრამ სხვისი სიკვდილის ხილვაზე უარს არ იტყვის და მეც წავედი. თქვა დიდმა ვაჟამ:**

„...სიკვდილი ყველას გვაშინებს,

სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადია,

კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა,

რარიგ დიდ ცოდვას სჩადიან“

უეცრად ვხედავ, რომ მოყავთ ერთი ახალგაზრდა, რომელიც მალევე წინასწარვე გამზადებულ სცენაზე აიყვანეს, მასთან ჯერ მღვდელი მივიდა, რაღაც წაუკითხა, მერე კი ვიღაც წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი პირი, (***დანანებით)*** სწორედ მან ქნა ის საქციელი, მან ჩამოახრჩო ბეჟანი. მე მაინც არ ვიჯერებდი, **კატა ხომ არაა მიხვიდე და მოკლა, ისიც ხომ ღვთის შვილია, სული გააჩნია.**

ადვოკატი - ბატონო პეტრე, როგორი იყო იქ შეკრებილი ხალხის რეაქცია?

პეტრე - ბეჟანი, რომ გამოჩნდა ყველას ეცოდებოდა, სულ მის საცოდავ დედას ახსენებდნენ, ზოგიც კი გაიძახოდა ჩამოახრჩეთ ჩამოახრჩეთო, რას გაიგებ, ხალხი ჭრელია.

ადვოკატი- როდესაც ყველაფერი დამთავრდა რა გააკეთა ხალხმა?

პეტრე - არც არაფერი, თითქოს ყველაფერი იქვე დაივიწყა და დაიშალა.

ადვოკატი- და სწორედ მაშინ შეხვდით არა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს?

პეტრე - დიახ, სწორედ მაშინ.

ადვოკატი- რაიმე გითხრათ მან თუ რა გააკეთა?

პეტრე - თავიდან კი მეუცნაურა ამ ადამიანის ხილვა, თითქოს მეცნობოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ მივხვდი ვინ იყო. მან უეცრად რაღაც წერილი აიღო და მომაწოდა, მე კითხვები დავაყარე, მაგრამ მან არაფერზე არ მიპასუხა, ყველაფერს ეგ წერილი გეტყვისო.

ადვოკატი- როგორც ჩემთვისაა ცნობილი, წერილში ***(მიდის ნაფიცმსაჯულებთან და აწოდებს ამ წერილს - დანართი - 2)*** კიდევ იყო რაღაც.

პეტრე - დიახ, წერილი გავხსენით თუ იქ ძალიან დიდი თანხა დაგვხვდა, იმაზე ათჯერ მეტი, ვიდრე მან რამდენიმე წლის წინ მომპარა.

ადვოკატი- ვთხოვ ნაფიც მსაჯულებს ***(თან მზერას მათკენ მიმართავს)*** გაითვალისწონონ თანხის დაბრუნების ეპიზოდი. ბატონო პეტრე, თქვენ რა რეაქცია დაგრჩათ წერილის წაკითხვის შემდეგ?

პეტრე - წერილი ძალიან მძიმე იყო ძალიან მძიმე, აი მე რაც აქ მოვისმინე და წერილის შინაარსი ერთნაირია. თურმე ამ საწყალს როგორ რთული წარსული ჰქონია, ცხოვრებაში არასოდეს არავინ არ დადგომია გვერდით, არ უსწავლებია მისთვის კარგი საქციელი, სიკეთე და სხვის დახმარება და ლოგიკურიცაა, რომ თავსაც გარიყულად გრძნობს. წერილის კითხვის პროცესში შემრცხვა ჩემი თავის, ჩემი თავისა რომელიც თავს უდარდელად გრძნობდა, რადგანაც ჩემს შვილებს არაფერი უჭირდა. შემდეგ წერილში ჩემი თავიც დავინახე, ავტორმა თავად ახსენა ჩემთან შეხვედრა, თანაც იმ წერილში, სხვებთან შედარებით, ასე თუ ისე, მე დადებითად ვიყავი ნახსენები, რაც მესიამოვნა კიდეც. თურმე ჩემმა მაშინდელმა სიკეთემ მას გული მოულბო, კინაღამ სიკეთის მხარეს გადმოიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ქმედებამ მის გულში დიდი ადგილი ვერ დაიკავა. ***(ხმამაღალი და გაწონასწორებული ხმის ტემბრი)*** ეტყობა, 18 წლის განმავლობაში ნანახიდან მხოლოდ ერთი სიკეთე ვერ გადაწონის იმ დანარჩენ ქმედებებს, რომლებსაც იგი განიცდიდა, ეტყობა ერთი სიკეთე არ ყოფილა საკმარისი ადამიანის სულის ხსნისათვის.

ადვოკატი- დიდი მადლობა, მე დავასრულე.

- მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.

ბრალმდებელი - 1 - ბატონო პეტრე, გთხოვთ დამატებით გამოხატოთ თუ რა რეაქცია დაგიტოვათ წერილმა. ეგ წერილი ჩვენც კარგად წავიკითხეთ და იქ საკმაოდ მარტივად იკითხება, თუ როგორი ცხოვრების გაგრძელებას აპირებს იგი, რას იტყვით მის მომავალზე?

პეტრე - ასე ერთი შეხედვით კაცის მომავალი ივარაუდო კი ძნელია, მაგრამ იქ გარკვევით წერია, რომ იგი თავს ამ საზოგადოების ნაწილად ვეღარ მიიჩნევს, იგი ცალკე, ნაპირის ერთ მხარეს დარჩენილა, რომელიც სავსეა მრისხანებით და შურისძიებით, ვინ იცის მომავალში რას როგორ გააკეთებს.

ბრალმდებელი - ესე იგი მრისხანება და შურისძიება *(კმაყოფილია, ნაფიცმსაჯულების მისამართით აჟღერებს ამ სიტყვებს).*

პეტრე - რადგანაც ამდენი ვისაუბრე, თუ შეიძლება კიდევ ვიტყვი რაღაცას.

მოსამართლე - შეგიძლიათ ისაუბროთ.

პეტრე - ჩემი აზრით, ეს ბავშვი არ უნდა ჩამოახრჩოთ. ადრე რომ გეკითხათ შეიძლება სხვა აზრზე ვყოფილიყავი, მაგრამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აზრი შევიცვალე. ამ ბავშვების დანაშაული ჩვენ ყველასი და თავის მშობლების ბრალია. საზოგადოება უკვე ერთხელ შეცდა მისი ძმის მისამართით, როდესაც ის ასე კატასავით ჩამოახრჩო, მაგრამ ახლაც იმავე **შეცდომას ხომ არ დავუშვებთ??** მე მჯერა, რომ მათ არასოდეს არ უნდოდათ ცუდი საქმის კეთება, **ეს ჩვენ ვაიძულეთ.** მე არ ვიცი რას მიუსჯიან მას ნაფიცი მსაჯულები, მაგრამ ვფიქრობ, რომ, ***ჩვენ, ჯანსაღმა საზოგადოებამ მისთვის ერთი შანსის მიცემით, სწორედ ჩვენ თავებს უნდა მივცეთ შანსი და გავაცნობიეროთ, რომ კაცის კვლით საზოგადოებას უკეთესს ვერ გავხდით.***

დიდი მადლობა.

პეტრე - გადის.

- **მოსამართლე - გთხოვთ შემოიყვანოთ შემდეგი მოწმე.**
- **ადვოკატი - მოწმედ ვიძახებ ჩამოხრჩობის ერთ-ერთ მოწმეს.**

ადვოკატი - გამარჯობა ბატონო, გთხოვთ გაეცნოთ დამსწრე საზოგადოებას.

მაყურებელი - გამარჯობა, მე ვარ **კირილე სანახაობია** და საერთოდაც ვერ ვხვდები თუ რა მინდა აქ. გუდი, მე არც არაფერი დამიშავებია.

ადვოკატი - გთხოვთ უთხრათ სასამართლოს დაესწარით თუ არა ბრალდებულის ძმის ჩამოხრჩობას?

მაყურებელი - ჩემთან ერთად ათასი კოჩი დაესწრო, ყურებით დავაშავე რამე? მოიცა შენ, მე ხო არ უნდა გამასამართლოთ?

ადვოკატი - რატომ მიხვედით ვიღაცის სიკვდილის სანახავად?

მაყურებელი - ზუგდიდიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, დაღლილი... მინდოდა და მივედი. და... არც მრცხვენია რომ ამ ქვეყანაში არსებობს სიკვდილით დასჯა. მკვლელები და ისეთი ადამიანები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ხალხისთვის, საშიშნი არიან, არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი გავაგრძელო. არ მსურს ისინი ჩემი შვილების გვერდით, რომ იყვნენ.

ადვოკატი - აქამდეც დასწრებიხართ თუ არადა სიკვდილით დასჯას?

მაყურებელი - ზუგდიდში იყო კი,დავსწრებივარ რამდენჯერმე.

ადვოკატი - რას განიცდიდით როდესაც ამ ყველაფერს უყურებდით? რა გრძნობა დაგეუფლათ როდესაც ახალგაზრდა ბიჭის ჩამოხრჩობას უყურეთ?

მაყურებელი - ნამდვილად არაა სახარბიელო საქმე ადამიანის სიკვდილის ხილვა, (*ხმამაღალი საუბარი)* მარა **კანონი კანონია - მკვლელი უნდა მოკვდეს.** მე შვილები მეზრდება, ტფილისში ახლა გადმოვედი ოჯახით. არ მინდა ახლა ჩემს ახლოში ცხოვრობდეს აბრაგი, მძარცველი და მკვლელი.

ადვოკატი - ამ ყველაფრის ფონზე, დაგაინტერესდათ თუ არა ჩამოხრჩობილი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა ბიჭის განვლილმა ცხოვრებამ?

მაყურებელი - მე მჯერა სასამართლოსი, რომ ის მცდარ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. აქ მოსმენილის მიხედვით კი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ისინი არც ადრე გამოირჩეოდნენ კანონის მორჩილებით, პირიქით, როგორც ვხვდები, ძალადობა და კანონის დარღვევა მათთვის სირთულეს საერთოდ არ წარმოადგენდა.

ადვოკატი - თქვენ რა გააკეთეთ, როდესაც სიკვდილით დასჯა დამთავრდა?

მაყურებელი - ეეჰ, დაღლილ ნამგზავრებ კაცს დუქნის მეტი რა მოგაგონდებოდა.

ადვოკატი - ანუ თქვენთვის სიკვდილის ხილვა არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს და ჩვეულებრივად შეგიძლიათ რამდენიმე წუთში ჭამოთ და საღამოს თქვენს შვილებს ისე ჩაეხუტოთ, რომ რაიმე სახის დანაშაული არ იგრძნოთ?

მაყურებელი - ახლა არ ლაპარაკობ კაის შენ ადვოკატი ხარ თუ ვიღაცა, კი შემიძლია. რა ჩემი ბრალია ვიღაცა გუშინდელ ლაწირაკს მამამისის მოკვლა თუ მოუნდა.

ადვოკატი - ამ ბიჭების ადგილას თქვენი შვილი, რომ ყოფილიყო რას მოიმოქმედებდით?

მაყურებელი - არ იქნებიან, ჩემი შვილები ესეთები. მათ საკმარისად ვუყვარვარ მე.

ადვოკატი - ბატონო მოსამართლე, მე მეტი კითხვა აღარ მაქვს.

- **მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.**

ბრალმდებელი - ბატონო კირილე, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, საზოგადოება ძალიან კმაყოფილი იყო ბეჟანის ჩამოხრჩობის გამო, გთხოვთ აღწეროთ იმ ხალხის ემოცია?

მაყურებელი - **ჩვენმა ქვეყანამ სწორედ საზოგადოების მოთხოვნის გამო მიიღო ეს კანონი - სიკვდილით დასჯა,** შესაბამისად, დამსწრეთა უმრავლესობა კმაყოფილი იყო სამართლის თუნდაც ამ ფორმით განხორციელების.

ბრალმდებელი - მართალია, რომ თქვენ გყავთ სამი შვილი, სამივე სკოლის მოსწავლე და თან წარჩინებული?

მაყურებელი - მართალია, ენაცვალოს მამა მათ.

ბრალმდებელი - თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი საფრთხე თქვენი შვილებისათვის?

მაყურებელი - მუ ტვინ მიდეღ, თე ჩქიმ ბაღანით. ჩემი შვილებისათვის ყველაზე დიდი საფრთხე არის აი ამ კაცისნაირი ადამიანები, უპრობლემოდ, რომ მოკლავენ ნებისმიერს და გაძარცვავენ. იცით რა, მას უკვე აღარც არაფერი ეშველება, რაც არის ეგ არის. **ყველა მშობელმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარ შვილზე, მეც ჩემებზე ვზრუნავ, სხვა რა გავაკეთო,** მაგიტომაცაა რომ ვიძახი ამისნაირები არ იქნებიან ჩემი შვილები-

მეთქი. იმათ ისე აღვზრდი ასეთ უზნეობას არ იკადრებენ. ამათ სწორედ რომ აღზრდა აკლიათ !

ბრალმდებელი - მე მეტი შეკითხვა აღარ მაქვს.

მაყურებელი - გადის.

- **მოსამართლე - შემოიყვანეთ შემდეგი მოწმე.**
- **ადვოკატი - მოწმედ ვიძახებ ბრალდებულის მესაკნეს.**

ადვოკატი - 1 - გამარჯობა, ბატონო ვარლამ, გთხოვთ გაეცნოთ სასამართლოს.

მესაკნე - გამარჯობა, მე ვარ **ვარლამ მესაკნე.**

ადვოკატი - 1 - ყველასთვის ცნობიალია, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უკვე 5 თვეა რაც დაკავებულია, თქვენ კი მისი მესაკნე ბრძანდებით და მასთან საკმაოდ დიდ დროს ატარებთ.

მესაკნე - დიახ, სწორს ბრძანებთ, მისი აქ მოყვანის პირველივე დღიდან მე ვარ მისი მესაკნე

ადვოკატი - 1 - შეიძლება ითქვას რომ თქვენ მოახერხეთ მისი გაცნობა?

მესაკნე - შეიძლება ასეც ითქვას. მთელი ჩემი დღე და მოსწრება მესაკნე ვარ. ვინ იცის რამდენი ტიპის დამნაშავესთან მქონია საქმე.

ადვოკატი - 1 - ჩემი შემდეგი შეკითხვაც სწორედ ამ საკითხს მიემართება. გთხოვთ მოუთხროთ სასამართლოს, თუ როგორ იქცევა იგი საკანში, თქვენთან ან ნებისმიერ სხვა ადამიანთან ურთიერთობის დროს?

მესაკნე - ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დამნაშავეა, რომელმაც გარკვეული ტიპის დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ამასთანავე მაინც გამოარჩევა კონკრეტული სპეციფიკური ნიშნებით.

ადვოკატი - 1 - იქნებ დაუზუსტოთ სასამართლოს რას გულისხმოთ?

მესაკნე - იცით როგორ არის, გავიმეორებ, რომ აქამდე ძალიან ბევრი პატიმარი მინახავს, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ სასამართლოს საბოლოო განაჩენი არ გამოუტანიათ. ყოველი მათგანი სულ იმას გაიძახის, რომ იგი უდანაშაულოა, რომ მას არაფერი ჩაუდენია, იგი სხვის ნაცვლად დააკავეს, ვიღაცაში ეშლებათ და ასე შემდეგ. **ბრალდებული კი ასე არაა, მას არასოდეს უთქამს, რომ იგი მართალია და მას არ ჩაედინოს დანაშაული, ძირითადად ჩუმადაა, თუ რაიმე არ კითხე ან მიმართე ხმას არ იღებს.**

ადვოკატი - 1 - შეგიძლიათ აღგვიწეროთ ბრალდებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა?

მესაკნე - ერთი რამ განსაკუთრებული რაც შემიძლია ვთქვა ისაა, რომ მას თითქმის არასოდეს არ სძინავს ან თუ უეცრად ჩაეძინა მაშინვე ბოდავს, შემდეგ კი ყვირილს იწყებს ხოლმე.

ადვოკატი - 1 - ბოდვა? ყვირილი? გთხოვთ უფრო დეტალურად.

მესაკნე - დიახ, ჯერ ბოდვით დაიწყებს - ამბობს, რომ იგი ჯერ კიდევ ბავშვია და მაშინვე თავდაცვაზე გადადის, თითქოს ვიღაც დიდი ძალადობს მასზე, მას კი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია, ბოდვა მერე ტირილში გადადის, სთხოვს მას, რომ გაჩერდეს, ის კი არ ჩერდება და მაინც განაგრძობს ძალადობს, პატიმარიც არ ჩერდება, ისევ ტირის და ტირის, მერე უეცრად იღვიძებს, წამოდგება და საკნის კუთხეში დგება, ბოლოს ჩაიმუხლება და ბოლო ხმაზე ყვირის, **ყვირილი კიდე მსუბუქი ნათქვამია, ღრიალს, განწირულ ღრიალს იწყებს, რომელსაც დასასრული საერთოდ არ უჩანს.**

ადვოკატი - 1 - დიდი მადლობა, მგონი ყველასთვის ყველაფერი გასაგებია, მეტი შეკითხვა არ მაქვს.

- **მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.**

ბრალმდებელი - *(ცინიკური საუბარი)* დიდი მადლობა ადვოკატს, რომ ასეთი შოუ დადგა და უმწიკვლო ადამიანად გამოიყვანა მამინაცვლის მკვლელი.

ბრალმდებელი - ძვირფასო ნაფიმსაჯულებო, მინდა გავიხსენო წერილი, მასში საკმაოდ მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ დამნაშავე თავს ერთ ნაპირზე დარჩენილ ადამიანს უწოდებს, ხოლო მთელი საზოგადოება მეორე მხარესაა აღმოჩენილი. იგი თავს საზოგადოების ნაწილად არ მიიჩნევს, შეიძლება არც არასოდეს მიიჩნევდა. მეტიც, იგი იმუქრება, რომ ყველას სამაგიეროს მიუზღავს, არავის არაფერს აპატიებს, ძალადობით და სასტიკი ანგარისწორებით იმუქრება. შესაბამისად, ბატონო მესაკნევ, მე მაქვს თქვენთან ასეთი შეკითხვა, როდესაც პატიმარი არ ჩუმდება, ყვირის და ყვირის და თითქოს იგი არაფერში იყო დამნაშავე, დამარტებით რომელ ფრაზებს ან რას გაიძახის ხოლმე?

მესაკნე - როდესაც იგი საბოლოოდ მოვა გონს, დაუბრუნდება სიზმრიდან რეალობას, გააცნობიერებს თუ სად იმყოფება, მაშინვე ყველას მიმართ უზარმაზარი ზიზღით აივსება, თავად ჩვენ გვეძახის მკვლელებს, რომლებაც მისი ძმა მოვკალით, ყვირის, რომ არავის არაფერს არ გვაპატიებს, გვაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ჩვენკენაც კი გამოიწევა ხოლმე.

ბრალმდებელი - ანუ თქვენ ამბობთ, რომ ფიზიკურად კი გამოიწევს ხოლმე თქვენკენ? თქვენ როგორ აჩერებთ მას?

მესაკნე - სამწუხაროდ, ჩვენც გარდა ფიზიკური რეაგირებისა არაფერი არ გვრჩება.

ბრალმდებელი - 1 - დიდ მადლობა, მე მეტი შეკითხვა აღარ მაქვს.

მესაკნე გადის.

- მოსამართლეს - დაცვის მხარეს ვთხოვთ შემოიყვანოს შემდეგი მოწმე.
- ადვოკატი - მოწმედ ვიძახებ ბრალდებულის დედას.
- *დედის დანახვაზე ხალხიდან ისმის ხმები - ესაა დედა, საცოდავი, ბოროტი ქალი, შვილებს ასე როგორ მოექცა. დედა მიდის შვილისკენ, მაგრამ მას დაცვა აჩერებს.*

ადვოკატი - გამარჯობა ქალბატონო ნინო. მესმის თუ როგორი რთული შეიძლება იყოს თქვენი აქ მოსვლა, მაგრამ რადგანაც ასეთი მძიმე ფაქტის წინაშე ვდგავართ, აუცილებელია თქვენც გამოხვიდეთ სიტყვით.

გთხოვთ გვითხრათ, ბოლოს როდის ნახეთ თქვენი შვილი?

დედა - დაახლოებით ოთხი წლის წინ.

ადვოკატი - რადგანაც ყველასათვის ყველაფერი ნათელი ხდება, გთხოვთ გვითხრათ, თუ როგორი იყო თქვენი პოზიცია, როდესაც თქვენს შვილებს ასე ექცეოდნენ?

დედა - მე ჩემი შვილებისთვის მხოლოდ კარგი მინდოდა. ამიტომაც გავთხოვდი მეორედ, ვიფიქრე მარტოს გამიჭირდებოდა ყველაფერი, გვერდით მყოფი მამაკაცი კი ჩემს შვილებს მამობასაც გაუწევდა და საოჯახო საქმეებსაც მიხედავდა.

ადვოკატი - გასაგებია, რომ თქვენი თვით მიზანიმხოლოდ და მხოლოდ კეთილი გარემოს შექმნა იყო, მაგრამ იქნებ განუმარტოთ სასამართლოს სად იყავით როდესაც თქვენს შვილებს თქვენი ქმარი სცემდა და რატომ არაფერს აკეთებდით, როდესაც ნაცემი შვილების ტირილი გესმოდათ, ნუთუ დედობრივი ინსტინქტი საერთოდ არ გაგაჩნდათ იმ დროს?

დედა - როგორც უკვე აღვნიშნე, მე არაფრის ძალა არ გამაჩნდა. თავიდან ვერაფერს ვატყობდი, ჩემი ქმარიც არ იქცეოდა ცუდად, მაგრამ დროსთან ერთად ყველაფერი შეიცვალა. ჯერ უფროსს - ბეჟანს შევამჩნიე სხეულზე ჩალურჯებები, მერე პატარას. რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფრის გარკვევა გადავწყვიტე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჩემს ქმარს ვერაფერი გავაგებინე, ის ჩემზეც ძალიან იძალადა და მთელს ოჯახს სრული ტეტორის ქვეშ გვამყოფებდა.

ადვოკატი - თქვენ, თქვენ თუ იღებდით მონაწილეობას თქვენი შვილების ჩაგვრაში?

დედა - მე ჩემი **შვილებისთვის თითიც კი არასოდეს დამიკარებია.**

ადვოკატი - რატომ მიეცით თქვენს ქმარს უფლება თქვენი ობოლი ბავშვებისთვის მამისეული ქონება გაეფლანგა, ამით ხომ თქვენ იყავით პირველი, ვინც გაიმეტა ისინი ქუჩის ცხოვრებისთვის?

დედა - ალბათ თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ მთელ ჩემს ქონებას ჩემი პირველი ქმარი განაგებდა, მე არანაირი განათლება არ მქონდა, წერა-კითხვაც კი მიჭირდა. ვერ ვერკვეოდი თუ როგორ უნდა მემართა ჩემი ქონება. ჩემი მეორედ გათხოვების მიზეზთაგანაც ერთ-ერთიც ხომ ეს იყო.

ადვოკატი - როგორ გრძნობდით თავს როდესაც თქვენ გაუბედურებულ ბავშვებს ხედავდით?
დედა - გთხოვთ, ნუ იქნებით ჩემ მიმართ ასეთი მკაცრი.

ადვოკატი - რას იტყვით იმ ფაქტზე, რომ არ შეეწინააღმდეგეთ თქვენს ქმარს, როდესაც მან პატარა ბიჭები სასწავლებელში გაუშვა, ან უფრო სწორად თუ ვიტყვით თავიდან მოიშორა?

დედა - მე ვიფიქრე, რომ მათთვის უკეთესი იქნებოდა, რომ მოშორდებოდნენ ამ მძიმე ყოფას და თავს სასწავლებელში უკეთ იგრძნობდნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ისინი იქ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ადვოკატი - ქალბატონო, ნაფიმსაჯულებს ძალიან გაუჭირდება თქვენი დაჯერება, რადგანაც თქვენ შვილებს სასწავლებელში ერთხელაც კი არ მიაკითხეთ.

დედა - ქმარი არ მიშვებდა, სულ მამუშავებდა და მატერორებდა, ერთხელ დავაპირე კიდეც, ზუსტად მაშინ ისე მცემა ორი კვირა ლოგინიდანაც კი ვერ წამოვდექი.

ადვოკატი - როგორც ჩვენთის არის ცნობილი, ბიჭები სასწავლებლიდან პირდაპირ სახლში დაბრუდნენ, რატომ მიეცი მათ საშუალება, რომ ქუჩაში წასულიყვნენ და სრულიად მარტონი, ბედის ანაბარა ყოფილიყვნენ, ამ დროს ხომ მათ დედის მხარდაჭერა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ?

დედა - მართალია, როდესაც ისინი სასწავლებლიდან წამოვიდნენ და ჩვენთან მოვიდნენ მათგან მოვისმინე სასწავლებლის ისტორიები, ძალიან ცუდად გავხვდი, თურმე როგორ უარეს დღეში ჩავარდნილან ისინი. მე მათი დაცვა არ შემეძლო, ჩემს ქმარს გავლენიანი მეგობრები ჰყავდა და მე, როგორც ქალს, მაინც არავინ არაფერს მიჯერებდა. ამიტომაც უკეთეს გადაწყვეტილებად მივიჩნიე, რომ აჯობებდა ისინი საერთოდ წასულიყვნენ სახლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კიდევ უარესი მომხდარიყო.

ადვოკატი - ხვდებით რომ თქვენ მიერ შვილების მიმართ გამოვლენილი გულგრილობა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე მათ მიერ ჩადენილი დანაშაული?

დედა - თავს ხრის ვერაფერს ამბობს.

ადვოკატი - ამ ეტაპზე თუ აცნობიერებთ რამხელა დანაშაული ჩაიდინეთ თქვენი გულგრილობით თქვენი შვილების წინაშე? ფიქრობთ, რომ თქვენი შვილები თქვენს გვერდით, სიყვარულში რომ გაზრდილიყვნენ არ ჩაიდენდნენ ამ დანაშაულებს?

დედა - მე როგორც დედას, ყველაფერი შემეშელა, ვერაფერს ვერ გავართვი თავი. სიკეთე მინდოდა და რაც გამომივიდა ყველამ კარგად ნახა. გთხოვთ გადაარჩინოთ ჩემი შვილი, არ დასაჯოთ სიკვდილით, ხომ ხედავთ რომ იგი ასეთი პატარაა. სიკვდილით დასჯის ღირსი მე ვარ, მხოლოდ მე. მე ვერ დავიცავი იგი, მე უნდა ვყოფილიყავი მათთვის ფარი ამ ცხოვრებაში, ყველაფერი გამეღო მათთვის, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა. მე დამსაჯეთ და არა ის, ის არაფერს ცუდს არ იმსახურებს, მე დამსაჯეთ.

- ადვოკატი - 1 - მადლობა, მე მეტი კითხვა არ მაქვს.
- მოსამართლე - ვთხოვ ბრალდების მხარეს.

ბრალმდებელი - ქალბატონო, მერწმუნეთ, მე მესმის თქვენი. მაინტერესებს, მამინაცვლის მკვლელი რა უარყოფით თვისებებს ავლენდა პატარა ასაკშივე?

მოსამართლე - ბრალმდებელს ვთხოვ კითხვის ფორმა შეცვალოს.

ბრალმდებელი - გასაგებია. თქვენ თუ ზარალდებოდით თქვენი შვილების უარყოფითი ქცევის გამო, რადგანაც მათზე გაბრაზებული მამინაცვალი თქვენზე იყრიდა გულისჯავრს?

დედა - მამინაცვლისთვის სულ ერთი იყო, შვილების უარყოფითი ქცევის გამო მათას სჯიდა და მეც მჯიდა, მას უბრალოდ საბაბი სჭირდებოდა.

დედა ტირის და გაყავთ.

მოსამართლე - ახლა კი დროა თავად ბრალდებულს მოვუსმინოთ.

ბეჟანის ძმა

ადვოკატი - 1 - გთხოვთ აუხსნათ სასამართლოს, თუ როგორ აღმოჩნდით მამინაცვლის სახლში.

ბრალდებული - ჩვენ უბრალოდ პასუხის მიღება გვინდოდა კითხვაზე, თუ რა დავუშავეთ მამინაცვალს, ჩვენ სოფელს და საერთოდ ამ სამყაროს.

ადვოკატი - 1 - როგორი იყო მამინაცვლის რეაქცია, როდესაც თქვენ დაგინახათ?

ბრალდებული - ჯერ ვერც გვიცნო, მერე და მერე გამოერკვა თუ ვინ ვიყავით. თავიდან თავად შემოგვიტია, საყვედურს გვიცხადება, რომ ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში წასულები ვიყავით, დავივიწყეთ ის, ჩვენი დედა, არ ვეხმარებოდით მათ ამ ცხოვრებაში და თითქოს ასე უპატრონოდ დავყარეთ ისინი. თან როგორც ხმები დადიოდა ცუდ საქმეებშიც გავერიეთ და ამით შევირცხვინეთ თავიც და ოჯახიც.

ადვოკატი - 1 - გთხოვთ გაიხსენოთ როგორ დაიწყო უშუალოდ დაპირისპიერება, იყო თუ არა მამინაცვლის მკვლელობა წინასწარ განზრახული?

ბრალდებული - ამ კითხვას რა აზრი აქვს, კაცი მკვდარია, ჩემს პასუხს რა აზრი აქვს ან ვინ დამიჯერებს.

ადვოკატი - 1 - დარწმუნებული ვარ, რომ აქ მყოფთაგანს ყველას აინტერესებს ამ კითხვაზე პასუხი.

ბრალდებული - როგორც ვთქვი ის აქეთ გვდებდა ბრალს, ისევ და ისევ ჩვენ გვაბრალებდა, რომ ამ სიბერეში მას არაფერი გააჩნდა, ჩვენკენ იშვერდა თითს, რომ ჩვენ გავაუბედურეთ იგი და ასე უპატრონოდ დავყარეთ. თითქოს მშობელი ბავშვის მფლობელი იყოს, როგორც ნივთს, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა მოგვეთმინა და მისთვის დაგვეჯერებინა, რომ მკაცრი ხელი აუცილებელი იყო. ჩვენ კი იმდენად გაოგნებულები ვიყავით ენა ჩაგვივარდა, ვერც ვერაფერი ვთქვით, მან კი იფიქრა, რომ ახლაც ისევ შეძლებდა ზუსტად ისე მოგვქცეოდა როგორც ადრე და ჩვენკენ გამოიწია. თავიდან ჩვენ ისევ დაუცველი და უსუსური ბავშვებივით ვიყავით, მაგრამ მალე გამოვერკვიეთ და აქეთ შევუტიეთ. მან ჩემკენ, როგორც პატარისკენ ფიზიკურად გამოიწია, რა დროსაც ჩემმა ძმამ მას ხელი კრა, გაიმართა ჩხუბი, წამის მეასედებში მთელი იატაკი სისხლით მოისვრა და ჩვენც გამოვიქეცით.

ბრალმდებელი - ალბათ, როგორი ბედნიერი ხართ, ის გარდაცვლილია და თქვენც სიტყვებს ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგება.

ადვოკატი - 1 - ბატონო მოსამართლე, პროტესტს ვაცხადებ მსგავსი გამოსვლის გამო.

მოსამართლე - პროტესტი მიღებულია, ბრალმდებელს ვთხოვ დასვას კითხვები.

ბრალმდებელი - მკვლელობის ფაქტამდე, ბოლოს როდის ნახეთ თქვენი მამინაცვალი?

ბრალდებული - რაც სახლიდან წამოვედით იმის მერე არც მე და არც ჩემს ძმას საერთოდ აღარ გვინახავს, ჩვენს სოფელს ვერიდებოდით.

ბრალმდებელი - თუკი ასეა მაშინ რატომ მიხვედით მასთან, თანაც ასე ჩუმად, ღამის საათებში?

ბრალდებული - გვინდოდა, რომ მისთვის თვალებში ჩაგვეხედა და გაგვეგო სიმართლე, იმის თაობაზე თუ რა იყო ჩვენი ბრალეულობა, რატომ მოგვექცა იგი ასე.

ბრალმდებელი - მკვლელობა წინასწარ განზრახული გქონდათ თუ არა?

ბრალდებული - ამ კითხვაზე უკვე გიპასუხეთ.

ბრალმდებელი - ანუ თუ ჩვენ თქვენ დაგიჯერებთ, გამოდის, რომ **შენ და შენმა ძმამ გადაწყვიტეთ უეცრად, ჩუმად, ღამის საათებში, როდესაც მოგეხსენებათ ყველას სძინავს, მიხვიდოდით მამინაცვალთან, რომელიც საკმაოდ მოხუცი და დაუძლურებია და უბრალოდ თვალებში ჩახედავდით?**

ბრალდებული - ჩვენ მისგან პასუხებს ვითხოვდით.

ბრალმდებელი - და ამ პასუხების მიღების დროს თავი ვერ შეიკავეთ და თავს დაესხით დაუცველ მოხუც კაცს არა? ფაქტი ფაქტად რჩება, თქვენ ადამიანი მოკალით.

ბრალდებული - დუმს და ჯდება.

ბრალმდებელი - ბატონო მოსამართლე, მინდა დამატებით მოწმედ გამოვიძახო ქალბატონი ექსპერტ-კრიმინალისტი, რომელმაც დაათვალიერა ბრალდებულის მამინაცვლის სხეული. და ვთხოვო მას, რომ წაიკითხოს დასკვნა.

ექსპერტ-კრიმინალისტი - გამარჯობა.

გასული წლის ზამთარს, დეკემბრის 24 რიცხვში, გამთეენიისას, 6 საათსა და 45 წუთზე აღმოჩენილი სხეული ეკუთვნოდა **(გამოკვეთილად და გასაგებად ამბობ გვარს)** ლავრეტი **საძაგლიშვილს,** რომლის სხეულზე ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ მას სხეულზე ჰქონდა მრავლობითი ჩალურჯება, რომელთა უმრავლესობა რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა მიღებული, რაც გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ეს დაზიანებები მას ბეჟანსა და მის ძმას მიეყენებინა.

თუმცა, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე დაზიანება მას ჰქონდა მიყენებული გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კერძოდ: რამდენიმე დაზიანება მარცხენა ფეხის ბარძაყის მიდამოებში, ზურგისა და სახის არეში. სასიკვდილო ჭრილობა კი აღმოჩნდა დიდი დანით გულის არეში მიყენებული დაზიანება, რის გამოც მან ბევრი სისხლი დაკარგა და ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალმდებელი - ნაფიცმსაჯულებს გადასცემს გარდაცვლილის სხეულის სურათებს.

დამატებით აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სახლიდან არაფერი დაკარგულა, მკვლელობაში ბრალდებული ძმები მაშინვე გაიქცნენ სახლიდან, ისინი ზუსტად ამ დროს შენიშნა ერთ-ერთმა მეზობელმა, რომელმაც პირველმა ნახა გარდაცვლილი და მაშინვე პოლიცია გამოიძახა.

ყოველივეს მოსმენის შემდეგ, დამატებით ბრალდებისა და დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვის მოსმენის საჭიროება აღარ არსებობს, შესაბამისად, რჩება ნაფიცმსაჯულების გადაწყვეტილება, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სასჯელს მიუსჯიან ბრალდებულს ***(დანართი - 3).***

დანართები

- **დანართი - 1**

„სალდათის სკოლა”

სალდათის სკოლის ადმინისტრაცია: გწერთ პასუხს, ამა წლის 15 ნოემბრის განცახდების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარე ითხოვდა ინფორმაციას, თუ როდის მოაკითხეს მშობლებმა ძმებ - დაჩაგრულაშვილებს, მათი ჩვენს სკოლაში სწავლების პერდიოდში, ვაცხადებთ: დაჩაგრულაშვილებისათვის მთელი წლის განმავლობაში არავის მოუკითხავს, პატივისცემით „სალდათის სკოლის“ ადმინისტრაცია.

- **დანართი - 2**

„წერილი“

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, — ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით, საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა,

არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება. ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს - ერთი ღამეც არ გაგვათენებინე

...გახსოვს, ამ ოთხი წლის წინად ლოჭინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უჭმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა! „შენ მაშინ გულის-ტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი. თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალხზედ შემიდგა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს, საცა წვრილია -მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი. „გაგქურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა... „ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს

სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე-ღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის. „არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო. — აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა. „შენ სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

1879 წ.

- **დანართი - 3**

თქვენი აზრით, რა სასჯელია ყველაზე ლოგიკური ბრალდებულისათვის?

1. სიკვდილით დასჯა;
2. პატიმრობა - 25 წლით;
3. პატიმრობა - 10 წლით;
4. თუ გაქვს სხვა მოსაზრება, შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ -

_____

_____